სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-070901

ქ. თბილისი

09 ივლისი 2018 წ

ერთის მხრივ **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის ნინო თანდილაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ჯეოლაბინსტრუმენტები“ (ს/კ 205186804) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა გოგოლაშვილის სახით** (შემდგომში „მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 05 ივლისის N1651 განკარგულების **(SMP180001444)** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს შესყიდვის ობიექტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების *საგანი: საანალიზო ელემენტების ერთდროული ანალიზის აქსიალური ინდუქციური პლაზმის (ICP-OES) სპექტრომეტრის (CPV38400000 - ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოები)- Agilent Technologies (Agilent 710 ICP-OES), (აღნიშნული საქონელი შესყიდული იქნა 2013 წელს SPA130013552 ელექტრონული ტენდერით შპს „ჯეოლაბინსტრუმენტებისგან“ - Agilent technologies ოფიციალური წარმომადგენელი) ნაწილები კერძოდ: oneNeb inert concentric nebulizer, ნებულაიზერი, არგონის ფილტრი, Pre-optics cone და ფაკელის (CPV 38433000 - სპექტრომეტრები) შესყიდვა.*

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **11958** (თერთმეტი ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარებში, უნაღდო წესით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების განხორციელების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.3 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2018 წლების საკუთარი სახსრები.**

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის უფროსი.***

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს **ხელსეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადაში.**

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის ფაქტობრივ მისამართებზე: **ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6.**

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერას და შესყიდვის ობიექტის მიღების დადასტურებას განახორციელებს ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" გარემოს დაბინძურების მონიდტორინგის დეპარტამენტის უფროსი.***

8. პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება მისთვის

ასანაზღაურებელი თანხიდან გადახდის ეტაპზე გამოქვითვის საშალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით მხარის წერილობით მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ***ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.***

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

19. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 243 95 45

ნინო თანდილაშვილი
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:
შპს „ჯეოლაბინსტრუმენტები“
ს/კ 205186804
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას VII კვ., 13 კორპ. B30
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა GE 06 TB 0628 1361 2010 0004
ტელ:; (+995) 551 777 077; (+995) 595 72 71 72.

გელა გოგოლაშვილი
დირექტორი

შეთანხმებულია:

2018 წლის 09 ივლისს N01-070901 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი N1

N	დასახელება და მახასიათებლები	მწარმოებელი კომპანია	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	(ნებულაიზერი) OneNeb inert concentric nebulizer, (ნებულაიზერი)	Agilent Technologies	2	2661	5322
2	(არგონის ფილტრი) Filter argon ICP-OES vista and 700 series preasure 860 Kpa (125 PSIG) Max	Agilent Technologies	1	642	642
3	Pre-optics cone-Vista/700-ES axial ICPOES	Agilent Technologies	1	2106	2106
4	(ფაკელი) Torch 2.4mm Axial	Agilent Technologies	2	1944	3888
	სულ ჯამი დღგ–ს ჩათვლით				11958 (თერმეტი ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი) ლარი

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

ნინო თანდილავა
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:
შპს „ჯეოლაბინსტრუმენტები“

გელა გოგოლაშვილი
დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს „ჯეოლაბინსტრუმენტებ“-ს შორის 2018 წლის 09 ივლისს №01-070901 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ ნინო თანდილაშვილი

_____ თეიმურაზ მთივლიშვილი

_____ მარიამ ხვედელიძე

_____ ნინო სამადაშვილი

_____ ზვიად მანჯგალაძე

_____ მარინე არაბიძე

_____ ელინა ბაქრაძე

_____ თამარ ყარსიმაშილი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080164045288918

№ 1651

05 / ივლისი / 2018 წ.

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 3 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ SMP180001444 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია საანალიზო ელემენტების ერთდროული ანალიზის აქსიალური ინდუქციური პლაზმის (ICP-OES) სპექტრომეტრის - Agilent Technologies (Agilent 710 ICP-OES) ნაწილები, კერძოდ: oneNeb inert concentric nebulizer, ნებულაიზერი, არგონის ფილტრი, Pre-optics cone და ფაკელი (CPV38400000 - ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოები; CPV38433000 - სპექტრომეტრები), ღირებულებით - 11958 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ გეგმავს შეისყიდოს საანალიზო ელემენტების ერთდროული ანალიზის აქსიალური ინდუქციური პლაზმის (ICP-OES) სპექტრომეტრის - Agilent Technologies (Agilent 710 ICP-OES) ნაწილები, კერძოდ: oneNeb inert concentric nebulizer, ნებულაიზერი, არგონის ფილტრი, Pre-optics cone და ფაკელი. ზემოხსენებული ხელსაწყო შესყიდული იქნა 2013 წელს SPA130013552 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში შპს „ჰეოლაბინსტრუმენტები“-სგან, რომელიც წარმოადგენს ხელსაწყოს მწარმოებელი კომპანიის „Agilent Technologies“-ის ოფიციალურ და ერთადერთ უფლებამოსილ დისტრიბუტორს საქართველოში. ამასთან, ხელსაწყოს სპეციფიკურობის გათვალისწინებით, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ გეგმავს შეისყიდოს საანალიზო ელემენტების ერთდროული ანალიზის აქსიალური ინდუქციური პლაზმის სპექტრომეტრის ნაწილები. აღნიშნული ხელსაწყოსა და შესაბამისი სათადარიგო ნაწილების მწარმოებელი კომპანიაა „Agilent Technologies“, რომლის ერთადერთ უფლებამოსილ დისტრიბუტორს საქართველოში 2018 წლის 31 დეკემბრამდე წარმოადგენს შპს „ჯეოლაბინსტრუმენტები“ და ქვეყნის შიგნით არ არსებობს სხვა პირი რომელსაც უფლება აქვს მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას იგივე საქონელი. აღნიშნულს ადასტურებს კომპანიაა „Agilent Technologies“-ის 2018 წლის 29 იანვრის წერილი. ამასთან, ხელსაწყოს სპეციფიკურობის გათვალისწინებით, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ SMP180001444 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე